

[illegible]

ლექსად ნათქვამი [illegible]

მაქვს პოეტური განწყობა
და ნაყოფიერად ვარ პოეტი.
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
ბარათებს ყველას დავარიგებ.
თუ მეყო გამბედაობა.

MUKHRANI

Chateau
Est. 1878

[illegible] როზე

მეტი ვიდრე
ღვინო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკო

მაისი 2012

Seven7

MAKE EVENTS

ი 1/310 PX4986/1
ეროვნული
ბიბლიოთეკა



# საგაზაფხულოდ, სალაღობოდ

ჩემო გაზაფხულის მკრთალო შემოდგომავ, სიტყვა
გამოუცდელო გრძნობავ
მწყრალი გამოხედვის სხივად გაელვებავ, მუხლზე დაჩოქილო ლოცვავ.

ფერფლად მილეულო უხმო განთიადო, გულს შემოწოლილო ზვირთად.
როგორ შემოგბედო ჩემო ხვაშიადო, მხრებზე არ დამაწვე ტვირთად.

სულში მიმობნეულო ფიქრთა მარგალიტო, თვალებმინავლულო სევდავ
ზეცას მოწყვეტილო ციურ ვარსკვლავივით, მაინც
გაბრწყინებულს გხედავ.

იყავ საგულეში გულო მოფრთხიალევ, ტკივილდათმენილო რწმენავ
გვიან შემოდგომის ჩემო გაზაფხულო, აკიაფებულო
ცრემლად.

ისევ მოლოდინში ჩუმად მოიმედევ, განცდაგამოვლილო ერთავ
ძალა შეგემატოს, ღმერთს კვლავ შეევედრე, და თავს ნუ მიიტან
მსხვერპლად.

ზოგჯერ გადაღლილო, მაინც მხიარულო, ალერსს
მოკლებულო სითბოვ
მზისგან ანთებულო ცეცხლო მოელვარე, ჩემად
ვიგულე და გიხმობ!

მაკო



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქეთი ყაზაიშვილი

ისევ ვარდების წარმართებს, მაკო ჯარიშვილი

მაისი 2012

# თქვენთვის შემონახული ეპილოგი

პროლოგში სათქმელს ეპილოგად გაგიმხელთ: მოგისაკლისეთ და გულის გადაშლა მომინდა. ერთხელ უკვე გავბედე ასაკინძად გამეტებული ბარათების დარიგება. ხელისგულზე დადებული გული საგულედან მოშორებით დიდხანს ვერ ძლებს. ისევ შემოგბედეთ ბარათებით გასაუბრება.

გაგითამამდით სიყვარულზე შეყვარებული, რათა გითხრათ...

ბოდიში, გულგახსნილი საუბრისათვის

მადლობა, გულისყურით მოსმენისთვის...

ჩემს გულს ეამეთ და მე-გულით-ადებით

## განსაკუთრებული მადლობა

მხატვარ ქეთი (მაცაცო) ყაზაიშვილს
სარეკლამო კომპანია "მოზაიკას" და პირადად,
ქეთი ყიფიანს და ნუცა ანდღულაძეს
ნატუკა მინდიაშვილს,
გოგა ჩანადირს,

ასევე, ყველა ახლობელს, ვინც ბარათების დასარიგებლად შემა-გული-ანეთ და სიტყვით მომე-ფერები-თ



ქეთი ყაზაიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისევ ვარდებ ბარათებს, მაკო ჯაოშვილი

მაისი 2012

# თქვენი გულისთვის

*სერიიდან: "ეს მე ვარ"*

გრძნობას რითმად გამოვწურავ გულიდანა,
ლექსის ენით სიტყვას დავაფრთიანებ.
უთქვენოდ რომ ეულად ვარ, გიკვირთ განა?!
თქვენი ნახვა დამიამებს იარებს.
გულის წადილს შევაფეთე მზერა ხარბად,
გაუხედნავ კვიცს ვამსგავსე ფიქრები,
სიტყვას ძარღვი ჩავაქსოვე მე თამამად
და გულიდან ჩამოვწურე რითმები.
რითმა-რითმა მოვიარე მთა და ველი
ღრუბელ-ღრუბელ ვინარნარე შორითა.
უთქვენობა გახდა ჩემი სატანჯველი,
თქვენთან ყოფნა უსაშველოდ მომინდა.
ლექსად თქმული სიტყვა ვიდრე დამაჭრდება,
ფიქრის კალო ვიდრე გაილეწება.
სიყვარულში ვიდრე გული დაბერდება,
ჩემი გრძნობა თქვენთვის გაილექსება.
გულის სიმებს ავაჟღერებ, ვითარც ქნარი,
გულს მოგიძღვნით, ხელისგულზე დადებულს.
გავლაღდები, ვით ფოთოლი ნიავქარში
მხოლოდ თქვენთვის გავიმეტებ ამ ჩემს გულს.

მაკო

# ქეთი ყაზაიშვილი

ისევ ვარიაციები ზღაპრებს, მაკო ჯაოშვილი

მაისი 2012

ციკლიდან: "ეს მე ვარ"

## ჩემი "მზე შინა"

შენა ხარ ჩემი "მზე შინა"
მხრებზე დავიდგი უღელი.
ცვარ-ნამად მიმოვიპკურე
ამ ჩემი მიწის სურნელი.
ალიონს გავურიჟრაჟე,
გულის მოწყენილი სათქმელი
შენი ცა მეფირუზება,
მაოცებს შენი მთა-ველი.
"მუმლი მუხასა" ჩამესმა
ალგეთის ლეკვთა ძახილი,
დალოცვად ვავსებ ფიალას,
მტრისთვის ალესილ მახვილით

მაკო



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ქეთი ყაზაიშვილი

ისევ ვარდების ზარათებს, მაკო ჯაოშვილი

მარტი 2012

სერიიდან: "ეს მე ვარ"

## მზესთან მწადია

მზე ხომ არა ვარ, ყველა გავათბო, ვერც შევცვლები,
მაგრამ ერთ სხივად ყოფნას მაინც, მზეს ვევედრები
მზისებრ ნათებას რას გავბედავ, არ მაქვს უფლება
თქვენ რომ მზესავით დაგათბუნოთ, ამის მკლავს ნება.

თუკი რამ შევძელ, მხოლოდ მზისგან მომეცა ძალა
და უშურველად დავიხარჯები, არა მსურს დაღლა
მზისკენ მავალი, სითბოს ვატარებ გულს დასადარად
კვლავ მზის ამოსვლას შევეგებები იმედის დარად.

მაკო



# ქეთი ყაზაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ვარდებზე ზარათებს, მაკო ჯაოშვილი

მაისი 2012

## მაცაცოს

ცამ სარტყელად შემოიკრა შვიდი ფერი,
ჩემი მზერაც თითქოს შვიდჯერ დაიფერა
ცის კაბადონს თვალი როცა შევაწვდინე,
გავცისკროვნდი, მზის სხივი რომ მომეფერა

ვარსკვლავივით აციმციმდა ჩემი გული,
მიერთგულე მზეო, რათა ვიყო მშვიდად
ხელისგულზე მიმოფანტულ ათინათებს
ვუალერსებ და გულისყურს ვანდობ ფრთხილად.

ზღვის ნაპირებს კოცნის კვალი ამჩნევია.
ქარი ვერ შლის სიყვარულით გამთბარ შვიდფერს
თვალუწვდენელ მონატრების ცისარტყელას
ელვარება შეემატა ნათელ მზისებრ.

მაკო



ქართული ბიბლიოთეკა

# ქეთი ყაზარიშვილი

ისევ ვარდებს წარათებს, მაკო ჯაოშვილი

მაისი 2012

სერიიდან: "ეს მე ვარ

## ვზიდოთ ერთმანეთის ტვირთი

– ყველაფერი გადაღლილობის ბრალია. სულ სადღაც გეჩქარება, ფორიაქობ, ჭიანჭველასავით დიდი ტვირთი წამოიკიდე, სხვებზე ზრუნვით ყველას გასაკეთებელ ეპოტინები და საკუთარ თავს აღარ ინდობ. მუდმივ ფუსფუსში გავიწყდება, რომ უაზრო ჭიდილი არაქათს გაცლის.

– მართალი ხარ, იმდენი რამე ვიტვირთე, სიამოვნებაც ლამის ტვირთად მაწვება.

– დამიჯერე, ირთულებ ცხოვრებას და თავს საფიქრალით იმძიმებ. მოეშვი ცოტა.

– ყველამ თავისი ჯვარი უნდა ზიდოს. მე ჩემსას ვატარებ, ვიდრემდე შევძლებ. თუმცა რას ვძალაობ, მოგენდობი, ეგებ ასე ჯობდეს.

მაკო



# ქეთი ყაბაიშვილი

ისევ ვარიგებ ბარათებს, მაკო ჯაოშვილი

მაისი 2012

## კვირის განრიგი

ორშაბათი – მძიმე დღეა,
სამშაბათი – არ მცალია.
ოთხშაბათი – ეგებ შევხვდეთ
ხუთშაბათი – ვერც დღეს იცლი?!
პარასკევი – დაგირეკავ
შაბათია, დაისვენე...
კვირას! კვირაც სამუშაო დღეა.

სერიიდან "ეს მე ვარ"

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხვალეემ იზრუნოს ხვალისა

"ხვალეემ იზრუნოს ხვალისა"
იყავ მორჩილი ამისა,
დადე გუდრუა დარდისა
ჰპოვე სიმშვიდე ლამისა
გაქვს სიძლიერე ხარისა
ნუ შეშინდები ძალისა
გფარავს ნათელი მამისა
და ერთგულება დას ძმისა.

მაკო



# ქეთი ყაზარიშვილი

ქართული ბიბლიოთეკა

ისევ ვარდებს ზარათებს, მაკო ჯაოშვილი
მარტი 2012

სიმღერიდან: "ეს მე ვარ"

# ნაცნობი მელოდიები უცნობ გულისთქმაზე

მინდოდა მემღერა: "მიყვარდი და მიყვარხარ, სულ მუდამ მეყვარები..." მაგრამ სიმი გაუწყდა გიტარას. გამთელება აღარც მიცდია. ღმერთმა მოგვიტევოს, თუ ვერ შევძელით შე-ხმა-ტკბილება. მადლობა, რომ ცხოვრების ავკარგზე ამიხილე თვალი, გულის სიღრმეში მაინც მე-ძვირ-ფასები. თუმცა ამას ახლა რა მნიშვნელობა აქვს. ოდნავ თვალმოხუჭული ვიმზირები, რადგან "ზედ წამწამზე მიზიხარ" და მეშინია არ გადმოვარდე.

შიში უკვე დავძლიე, გუშინდელი მოწყენილობა გულის გამაწვრილებელი ბზუილის გამო ფანჯრის მინას მივაჭყლიტე ბუზივით. ხვალინდელი ოცნება იქვე პეპელასავით ფარფატებდა, ხელი წავავლე, ხელისგულზე დავისვი ჭია-მარიასავით და სურვილი ჩავუთქვი.

გულის კარებს ვინ გამიღებს "ეგ სულერთია, ეგ სულერთიაა!" ახლა ამ სიმღერის ხასიათზე ვარ "ოდელა, დელა, დელასა, შენ მირჩევნიხარ ყველასა" და ვხალისობ, როგორც ყოველთვის.

მაკო



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქეთი ყაზარიშვილი

ისევ ვარდებზე ზღაპრებს, მაკო ჯაოშვილი

მაისი 2012

## "შენმა სურვილმა დამლია"...

– აგერ დაბრძანდით, ეს ადგილი თქვენ გეკუთვნით.

– ასეთი პატივი რატომ მერგო, ხომ არ შეგეშალეთ?!

– როგორ გეკადრებათ, რა ხანია გაკვირდებით. თქვენმა სხივანთებულმა მზერამ მოსვენება დამაკარგვინა. ვყოყმანობდი, მეთქვა თუ არა, რამოდენა ძალაა მაგ გამოხედვაში. მერე შევშინდი, სხვას არ დაესწრო და ადგილი გაგინთავისუფლეთ.

– ნუ შეწუხდებით. ისე ზოგს იმის ვაჟკაცობაც როდი ყოფნის, სხვას გზა დაუთმოს. მაგრამ უადგილოდ რომ არ დარჩეთ, ბრძანდებოდეთ...

– რას ბრძანებთ, რა შეწუხებაა. გულს დავთმობ თქვენი გულისთვის, ისე მესურვილებით.

მაკო



# ქეთი ყაზაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ვარდების წარმართებს, მაკო ჯაოშვილი
მაისი 2012




## "როგორც ჩიტი გალიაში, როგორც მუჭში პეპელა"

ზამთრის პირას გალიაში გამომწყვდეული ფრინველის გავს. ჭიკჭიკა ხმა უხალისოა. ფრთადაშვებული ლაზუა ჩიტივით იბუზება. დანისლულ მთებზე მზის სხივის ანარეკლს ეძებს. მზიანი შემოდგომა მხრებს მოხვეული შალივით ათბობს.

შებინდებულზე სახლის კუთხეში იყუჟება, ფეხებშემოკეცილი სავარძელში მოიკალათებს და საინტერესო წიგნის სამყაროში ეფლობა... გარეთ სუსხია, მაგრამ შინ შვილები ბუხარივით სითბოს ახვედრებენ და ამაზე უკეთესს რას ინატრებს?! ძალიან რომ აცივდება და ყინვა მოუჭერს, ახლობლის ნაჩუქარ, ხელით ნაქსოვ წინდებს ამოიცვამს და ისეთი გრძნობა ეუფლება, როგორც აქოჩრილ ბალანზე მიალერსებისას გატრუნულ ლეკვს.

მაკო



ქართული ბიბლიოთეკა

# ქეთი ყაზაიშვილი

ისევ ვარიგებ ბარათებს, მაკო ჯაოშვილი

მაისი 2012

სერიიდან - "ეს მე ვარ"

## გფარავდეს ზეციური სიყვარული

დანექი, უკვე გვიანია, ყურში ჩაესმის ნაცნობი ხმა. მაშინ ბუზღუნებდა, გადამეტებულ ყურადღებად ეჩვენებოდა. უკვირდა, ნეტავ რას უშლის გვიანობამდე რომ არ ვიძინებო. ახლა მობუზღული იმაზე ბრაზობს, მაშინ რას ვიბღუზებოდი-ო.

ნეტა იმ დროს..."ადექი ადრე, ისწავლე ბევრი, იშრომე მეტი, იცხოვრე ლაღად, გიყვარდეს ყველა, მოუფრთხილდი თავს, დაისვენე ცოტა, მიუტევე სხვებს, იხალისე ჩვენთან, დაინდე გული",- როგორ მოაკლდა დედისეული შეგონებები. ნამით მაინც აგრძნობინა ის შორეული სითბო, გულში რომ ელვენთებოდა. რა ტკბილად აგონდება მაშინდელი ზრუნვა.

ახლა სხვა საფიქრალმა იმატა. ამ ხმის ნატრული რა ხანია სწავლობს, შრომობს და ზრუნავს შვილების სასიკეთოდ, მათთან ერთად გააქვს ცხოვრების ლელო. სიყვარულში იხარჯება და ბედნიერია, თუკი სიკეთით შეუძლია მადლიერების გამოხატვა. ამიტომაც სწყალობს ღმერთი. დედის კალთა ფარავს ზეციდან.

მაკო



# ქეთი ყაზაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ვარდების ზარათებს, მაკო ჯაიშვილი

მაისი 2012

სერიიდან: "ეს მე ვარ"

# ყოველი დღე ღმერთის საჩუქარია

ნამდვილი თავგადასავლის მაძიებელი ვარ. "ვენეციურ ნავში" ვზივარ, საქსოფონს ვუსმენ და ვფიქრობ, რა ადვილი ყოფილა ოცნებების ახდენა.

მატარებლის ფანჯრიდან მოშიშვლებულ ტრამალებს რომ გავცქეროდი, გულიც რიტმულად ძგერდა ბორბლების ხმაზე: "დაგან-დაგან". ბავშვობისდროინდელი თამაში მომაგონდა: "დაგანი – დაენიე". მას შემდეგ ცხოვრების ჩქარ ტემპს ფეხდაფეხ მივსდევ.

აღმოსავლურმა სიმშვიდემ დამარწმუნა, რამდენად მაკლდა თავდაჯერებულობა. კიდევ ერთი ცხოვრებისეული გამოცდა წარმატებით ჩავაბარე და გამარჯვებულ რაინდს ვგავარ. მუჭში მოქცეული ფაიფურის პატარა სპილო მაძლიერებს. ზუსტად ვიცი, ბუნებაში შემთხვევით არაფერი ხდება. ხელიხელ საგოგმანები ეს მოგზაურობა ღმერთმა მაჩუქა..

ჩემი ცხოვრების გზა შადრევნიდან გადმოსული წყალივით მოჩქეფს. რიტმულ მელოდიას ჩიტების გალობა ერწყმის დროის გასწორებას არ ვაპირებ, მაგრამ ერთ ადგილზე ვერ გავჩერდები. სიახლისაკენ მივილტვი.

მაკო



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქეთი ყაზაიშვილი

ისევ ვათენებ ზამთრებს, მაკო ჯაოშვილი
მაისი 2012

*ძველი ალბომიდან...*

## პოეტური აღსარება

რა უფლება მაქვს პოეტი მერქვას
ან გავეჯიბრო მგოსნებს და მწერლებს
მაგრამ სიყვარულს ვერ დავუმალო
და სურვილი მაქვს, რომ ლექსებს ვწერდე

ჩემი ლექსები ჩემი განცდაა
ფიქრი, ოცნება თუ სიხარული
მე ლექსის ენით ვცდილობ გამოვთქვა
ის რაც ჩემშია თქვენგან ფარული

და ნუ გამკიცხავთ, რომ ჩემს ლექსებში
მარტო სიყვარულს დავუდე ბინა.
მეპატიება, რადგან ამ გრძნობამ
პოეტობაც კი შემაძლებინა.

*მაკო*



# ქეთი ყაზარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ვარიგებ ბარათებს, მაკო ჯაოშვილი

მაისი 2012

*ძველი ალბომიდან...*

## ვიდრემდე გული დაბერდეს...

იდუმალო ღამის სიზმარო, აუხდენელო დილითა.
შენ, სიყვარულის კარიბჭევ, გაუტეხელო ფიცითა.
რაზომცა შემოგეფეთე, თავსა დამატყდი ზვავადა,
მთით მონაბერი სიო ხარ, მსურს ჩავისუნთქო ხარბადა.
შენს თავს ვფიცავარ, სხვას არ გთხოვ,–ჯავრმა არ გაგატრალოს.
გრძნობამორეული ფიქრებმა გზააბნევით არ იაროს.
ყველა თავის გზას იპოვნის თუკი მოძებნის სწორადა.
რაიც გაფრინდა, გამქრალა, არ-ღა ღირს გულის წყრომადა.
გათანგული წარსულს რა ვუთხარ, ან ღამენათევ თვალებსო,
ვინძლო სიზმარში მეწვიო, ნუღარ მომაკლებ ალერსსო.
ჩამიჩურჩულე სათქმელი, იდუმალმოცული ხმითაო,
გულს ვარდად მოეფინება, შემონათება სხივთაო.
ოდეს თუ ცხადში შეგხვდები, მაგრად ჩავჭიდებ ხელსაო
დავჯდები წვრილად გიამბობ, მიმალული ოცნებებსაო.
ქარმა წაიღოს ნაღველი, ცრემლით დანამული თვალთაგან.
შენს სიახლოვეს ისე ვგრძნობ, თითქოს სიზმარიც ამხდარა.
ვიდრემდე გული დაბერდეს, დავუმონები გრძნობასა,
ოცნებით გავილამაზებ, ჩემს გაუხუნარ ყრმობასა.

*მაკო*



# ქეთი ყაზარიშვილი

ქართული ბიბლიოთეკა

ისევ ვარდებზე ზღაპრებს, მაკო ჯაოშვილი

მარტი 2012

*ძველი ალბომიდან...*

## ზმანება

სიზმრის კაბას ჩავიცვამ და სიზმრის ფეხსაცმელებს,
სიზმრის რაში ზმანებაში შენსკენ მომაჭენებს.
ოცნების კოშკს აგიშენებ, ოცნების ცახცახს მოგცემ,
ოცნებაში გიალერსებ, ოღონდ არ გაკოცებ.
უკვდავების წყალს შევსვამ და სიზმრის ყანწით დაგლოცავ.
გვირგვინსაც კი დაგადგამდი, სიზმარი რომ დამცლოდა.

## ამაოება

თვალცრემლიანი იდგა ლოდინი,
იდგა მოწყენით და...
ფანჯრის მიღმა ხედავდა იმედს, რომელიც ჩუმად,
ღონემიხდილი იხსნიდა ნიღაბს!

## სიყვარულის ახსნა

ფოთლების ჩურჩული ჩამესმა,
უყვარსო და ვერ ამხელსო,
მგონი ფოთლებმა გამთქვეს და თვალები
ცრემლით ამევსო.

*მაკო*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქეთი ყაზაიშვილი

ისევ ვარდებს ჩარაოებს, მაკო ჯაიშვილი

მარტი 2012

## ნოსტალგია

ნაზადმოსხმული დღე,
თმაჩამოშლილი ღამე,

კვირტგაუშლელი ხე,
გაუცინარი მთვარე.
თვალდახუჭული მზე,
ფიქრს ჩახვეული მიწა,

ქუდმოუხდელი ცა,
დარდად მოსული წვიმა.

ცრემლად დაღვრილი მთა,
ტკივილი უთვალავ ფერთა

გაუკვალავი გზა,
მიტოვებული კერა.

შორს წინაპართა ხმა და
არსაიდან შველა.



მაკო



# ქეთი ყაზარიშვილი

ქართული ბიბლიოთეკა

ისევ [illegible] ბარათებს, მაკო [illegible]

მაისი 2012

*ძველი ალბომიდან...*

## მოხიბლული დავალ შენით...

სიმარტოვემ მაგრძნობინა უშენობა
უშენობით ვეღარ ვიტან მარტოობას
მარტო ყოფნას უშენობის სევდა ჩრდილავს
უშენოდ რომ მარტო დავრჩე, აღარ მხიბლავს.
თუ მომხიბლავს, მხოლოდ შენი ნახვის ხიბლი
არ ვარ მარტო, მოხიბლული დავალ შენით
შენს გამო და მხოლოდ შენთვის გზას გავივლი
შენთან მოვალ მარტოობით გადაღლილი.

## ლანდადქცეული

შემოდიოდა კრძალვით სულში ოცნების ლანდი,
კუთხეში იჯდა ჩუმად და აშინებდა დარდი.
იქნებ დავრჩეო მარტო, არ ვახსოვარო ალბათ,
ენანებოდა კიდევ, რომ გაჩენილა ლანდად.
ფიქრს შემოხვევდა ხელებს, უჩურჩულებდა ყურში.
არ ნახვიდეო ჩემგან და არ დამჭრაო გულში.

*მაკო*



ქართული ბიბლიოთეკა

# ქეთი ყაზაიშვილი

ისევ ვატოვებ წარსულებს, მაკო ჯაოშვილი

მაისი 2012

## ძველებური პაემანი

როდესაც ზეცა ვარდისფერად შეიმოსება
და გაზაფხული შემოაღებს ჩემს სულის სარკმელს
ნუშის ქოქივით სიყვარული აყვავილდება
იმედის სხივი ფრთას შეასხამს გრძნობის ანარეკლს

გამოფხიზლდება ოცნებაში მიძინებული
რა უცნაური აღტაცება სცოდნია თვალებს
მზე ძველებურად პაემანზე გამომიტყუებს
იასამანიც ძველებურად შემომხვევს მკლავებს.

მაკო



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ქეთი ყაზაიშვილი

ისევ ვაჩუქებ ზღაპრებს, მაკო ჯაოშვილი

მაისი 2012

## "უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე"

– ხომ იცი, როგორ მიყვარხარ...

– არ მეგონა ეს გრძნობა თუ შემოგრჩა, მაინც როგორ საზღვრავ?!

– სიყვარულს საზღვრები არ გააჩნია.

– უსაზღვრო მონატრება უფროა.

– ჰოდა, სულ მენატრები. შენი თვალები აჩრდილივით დამდევს.

– ღამე გზას რომ გინათებენ, ეს თუ გახსოვს?!

– ნუ ოხუნჯობ. ზუსტადაც მაგ თვალთა ეშხმა მომხიბლა.

– მერე ალბათ დაგაბნია, სათქმელიც გადაგავიწყა, მერე გვიანი სალამივით გაგახსენა რა უზომოდ გყვარებივარ. სიბერის სენტიმენტებმა შემოგიტიეს ალბათ, თორემ რაღა დროს ჩვენი სიყვარულია...

თუმცა უსიყვარულოდ?! რა ფასი ექნება ცხოვრებას..

მაკო



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქეთი ყაზაიშვილი

ისევ ვარდების ზარათებს, მაკო ჯაიშვილი

მაისი 2012

# გრძნობათა ორკესტრი

ფიქრი ფიქრს ვერ უმკლავდება,
სამკლავურად დააქვს წყენა
მოგონების მოზღვავებას
გული ითმენს, უძლებს ენაც.
რაც იყო და არ ყოფილა,
სული მალავს, თვალი ამხელს
გაგონილს თუ გაუგონარს
ყური მაინც კლიცეს აღებს.
თავი ხელზე დაყრდნობილი
კვლავ საფიქრალს მიეძალა
მუხლი ისევ ჩაუხრელი
ტკივილს იტანს და დგას მყარად.

გრძნობა თითქოს ფეხმორთხმული
გაოცებით პირს დაალებს
და ფიქრისგან გადაღლილი
გულის კარებს ფართოდ აღებს.
ტუჩებს ოდნავ ელიმება
ენას ჩუმად კბილს დააჭერს.
გამოვლილი ეს ცხოვრება
მხრებს ხომ ისევ ტკივრთად აწევს.
ლოყას უცებ სილა მოხვდა
ფარავს სახეს თმების ფარდა.
მითქმა-მოთქმის ამ ფორიაქს
რა გაუძლებს ტკივილის გარდა?!

მაკო



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქეთი ყაზაიშვილი

ისევ ვარდებს ზარაფებს, მაკო ჯაოშვილი

მაისი 2012

დიალოგი სიტყვასთან

* * * * * *

დღესდღეობით გაჭირდა
დაფასება სიტყვის.
ვისაც თავში რა მოსდის
ენაც იმას იტყვის.
სიტყვა იყო პირველად
მერე გაჩნდა საქმე!
სიტყვას თუ ვერ ასრულებ
ნუღარ ელი საქებს.
ნდობა თუკი დაკარგე,
სადღა ეძებ რწმენას
თუ არ ფიქრობ, რას ამბობ
"ძვალი არ აქვს ენას".
და სჯობს, ვიდრე იტყოდე,
დაუფიქრდე სათქმელს.
სიტყვას როცა აფასებ,
ფასი აქვს შენს საქმეს



მაკო



# ქეთი ყაზაიშვილი

ისევ ვარიგებ ბარათებს, მაკო ჯაოშვილი

მაისი 2012

## გარითმული–გაანდაზებული

სიტყვას აავდებ ჩანზე
თუ თავს შეუშვებ ქვას
გამოვა კაცი ქუდზე?!
"წისქვილი მაინც ფქვავს"...
ვინაც რა უნდა თქვას,
"ძალა აღმართსა ხნავს"!
და რაც არ უნდა კეცო,
შენ ვერ დაკეცავ გზას.

* * *

არა ფიქრის და დარდის
ანდა ალერსის, კოცნის
სადღაც თავისთვის დადის
და თავისთავად მოდის,
სიყვარული აქვს თორმის
აქვს ერთგულება ნდობის.
ჩევრს კი არაფერს ითხოვს
მცირედენიც ყოფნის.

მაკო

ეროვნული ბიბლიოთეკა



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ქეთი ყაზაიშვილი

ისევ ვარდებს წარართებს, მაკო ჯაიშვილი

მაისი 2012

## სიყვარულის დრო დამდგარა...

- რა დროა ახლა?
- შენ რა დრო გინდა იყოს?
- სიმშვიდის. არსად რომ არ გეჩქარება და მშვიდად ტკბები ბუნებით.
- მაგ დროს სიყვარული აკლია.
- მგონი არა. მშვენიერი დროა და აფორიაქებად არ ღირს.
- ისარს ერთგულებისკენ გადავწევ და ყველაფერი თავის დროზე დადგება...
- კი მაგრამ, უნდობლობა სად წავა?!
- ნუ შიშობ, ზრუნვისთვის მე გამოვნახავ დროს.
- და მაშინ ალბათ ვიპოვნი ბედნიერებას...
- იყურე, ყველაფერი დროულად ხდება.
- ნეტავ მაგას მომასწროს ღმერთმა.
- დამიჯერე, ეგ დრო მოვიდა!



# ქეთი ყაზაიშვილი

ქართული ბიბლიოთეკა

ისევ ვარდებზე ზარათებს, მაკო ჯაოშვილი

მაისი 2012

## ორშაბათიდან ორშაბათამდე

მერამდენედ ამბობ, ორშაბათიდან ვიწყებ....სათვალავი უთუოდ აგერევა... უკვე რამდენი ორშაბათი გავიდა და ჯერ არ დაგიწყია. რას უცდი ორშაბათის დადგომას.

ორშაბათიდან მხოლოდ კვირის დღეები იწყება. თორემ თვე ხან შაბათსაც დაწყებულა, წელი – მითუმეტეს. დღე საერთოდ დილიდან იწყება იმის მიუხედავად, ორშაბათია თუ შაბათ-კვირა. დილითაა დასაწყისი, მზის ამოსვლისთანავე. ამიტომ შეეგებე მზეს და დაიწყე დილიდან. ნუ დაელოდები ორშაბათობას. ჩათვალე, რომ შენთვის ყოველი დილა ორშაბათია, კვირის ყოველი დღე გასული ორშაბათია და მომდევნო დღისთვის მოემზადე.

დაივიწყე "ორშაბათს დავიწყებ", დაიწყე დღესვე, შენი ორშაბათი დღესაა!

მაკო



# ქეთი ყაზაიშვილი

ისევ ვარდებზე წარმართებს, მაკო ჯაოშვილი
მარტი 2012

## უშენოდ ვერ გადავრჩები

სიტყვის უთქმელად დავშორდით, და "ნახვამდისაც" არ გვითქვამს.
შენთან შეხვედრის სურვილით, ღამე პაემანს დამითქვამს.
ჩემს ფიქრში შემოიჭრები, ან სულში დაისაბუდრებ,
ხმის გამცემი თუ არა სჩანს, სიცივე დაისადგურებს.
ხელის ცეცებით დავეძებ, შენგან გაკვალულ ბილიკებს.
მწუხრი ალიონს აცილებს, მე სევდა გამინაპირებს.
ნეტავ უჩემოდ როგორ ძლებ, თვალებს მალულად ვაპარებ,
შენგან დანთებულ კელაპტარს, კვლავ ხელისგულზე ვატარებ.
იმედის სხივი ლიცლიცებს ლამაზი ათინათებით,
ღამის წყვდიადში გპოულობ, მზისგან მოჭუტულ თვალებით.
გზააბნეული მგზავრივით, ხეტიალისგან დაღლილი,
სასთუმალს მივესვენები. არ ეკარება თვალს ძილი.
საბანს მხრებამდე ვიფარებ, ნიავი მესალბუნება.
გულში დაჭრილ შველს ვამსგავსე, შენი ველური ბუნება.
ნაზი ამბორის მოსურნე, ჩუმად ლოყაზე გაკოცებ,
უშენოდ ვერ გადავრჩები, ან მომკალ ანდა მაცოცხლე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქეთი ყაზაიშვილი

ისევ ვარდებზე ბარათებს, მაკო ჯაოშვილი

მაისი 2012

გულისხმიერები

ივას

## "ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა..."

ყოველთვის ისე არ ხდება, როგორც გვინდა ან ხდება, როგორც უნდა იყოს. ოღონდ შესაძლოა ეს ნაკლებად გვინდოდეს. შენ ჩემი ოპტიმიზმი და შემართება გხიბლავს, მე – შენი ალალმართალი ბუნება და გამტანობა. გულის სიღრმეში ჩაძიების გარეშე ზუსტად ვიგებთ, როდის როგორ გავამხნევოთ ერთმანეთი. ცხოვრებამ მასწავლა ზედმეტი გულის გადაშლისგან თავშეკავება. დღემდე გამოუსწორებელ რომანტიკოსად ვრჩები. სიყვარულის ლაბირინთში დაკარგვისაგან თავის დაღწევას შევეცადე. ერთგულებისთვის სისულელეც ჩავიდინე. მაგრამ არ ვნანობ. სიმართლე გითხრა, არ მესმის, რამდენჯერ შეიძლება განწბილება... ეტყობა მართლა არ ხდება ყოველთვის ის, რაც გვინდა.

არ ვიცი, რამდენადად ავხსენი ჩემი გულისნადები, მაგრამ რომ არ მეთქვა, გული გამისკდებოდა.

მაკო



ქართული ბიბლიოთეკა

# ქეთი ყაზაიშვილი

ისევ ვარდებს ბარათებს, მაკო ჯაოშვილი

მაისი 2012

მამას

გულისხელიშვილი

**ჩვენი თვალები ერთნაირია და ხასიათიც გვაქვს ერთნაირი
ამბობენ გოგო ბედნიერია, თუკი აქვს თავის მამის იერი...**

არიან ადამიანები, თავიანთი სიცოცხლით რომ გვილამაზებენ ცხოვრებას და მერე უეცრად გვტოვებენ. მაგრამ რჩება კვალი ნათელი. შენი სახელიც ასე შემოგვრჩა. ღვთისნიერ კაცად მოგნათლეს და ღვთით ბოძებული სიკეთეს უშურველად ანაწილებდი. ობლობაში გაზრდილი შემნედ ედექი ყველას, მოარული იმედი იყავი, უშრეტი ენერგიის პატრონი. რაც რამ აკეთე, დიდებული ცხოვრების ლამაზ გაელვებად იქცა.

არის შენეული ერთი სიტყვა "უსაშველოდ". მართლაც "უსაშველობა" დაგვრჩემდა, რადგან "უსაშველოდ" მოალერსე იყავი და "უსაშველოდ" გვაკლია შენი მზრუნველობა.

მწუხარებაში მისამძიმრება ჭირისუფალთა გულს მოსაფონია. გარდაცვლილის მოგონება კი მისი სულის შესანდობარი.

მაკო



ქართული ბიბლიოთეკა

# ქეთი ყაზარიშვილი

ისევ ვარიდებ წარსულებს, მაკო ჯანიშვილი

მაისი 2012

დედას,

გულისხმიერებით

ეგ შენი მზრუნველი ხელი, ჩემი აჩრდილია თითქოს,
დინჯი დარიგება შენი, მუდამ სიკეთისკენ მიხმობს,
გინდა ამარიდო ტყუილებს და ჩემ გალაღებას ცდილობ,
ხან სიხარულსაც კი იკლებ, "შენ მყავდე, კარგად, შვილო!"....

გარდაცვლილებზე ფიქრისას ხვდები, რაოდენ ტკივილნარევია მათი გახსენება. შენგან მიტოვებულს ასეთი განცდა მაქვს დღემდე.

ყოვლისშემძლე მეგონე. უშიშარი იყავი და პრინციპული. სპეტაკი და მებრძოლი სულის ადამიანი, დაუღალავი, საქმისათვის თავდადებული და საოცრად მზრუნველი. მრავალთა გასაჭირის ქომაგი. ყველა ნაკლს გამართლებას უძებნიდი, უგულობის გარდა. გულთან მიგქონდა ყველაფერი და გულმა ვერ გაუძლო ღალატს.

რომ იცოდე, რარიგ ძნელია უშენობა, ასე უდროოდ არ მიგვატოვებდი.

მაკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქეთი ყაზაიშვილი

ისევ ვარდებზე ზარათებზე, მაკო ჯაოშვილი

მაისი 2012

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ჩემს დედობილს

იყო ცხბილი სიტყვები
უფრო მეტი -ნუგეში
ვიდრე მეგულებოდით
ვიყავ ჩიტი ბუდეში
ახლა ზეცად ამაღლდით
კიდევ ერთხელ დავობლდი
ცრემლი თვალს მიმეყინა
გზას მივყვები დათოვლილს
მოგონებას შემორჩა
ჩემი ლალი ბავშვობა
ხმაში ბზარი გამიჩნდა
კანს დაეტყო დაჭკნობა
დედის სითბო მომაკლდა
ფრთამოტეხილ ბეღურას.
თავზე ხელის გადასმა
საბურველად მეხურა,

მონატრების აკორდებს
სულში ჩუმად ვიგუბებ
ლექსად ნათქვამ
სტრიქონებს
გულისგულში ვიხუტებ
რა ვქნა, არ მავიწყდება
თქვენი ახოვანება
მშობლის გარდაცვალებას
როდი აქვს წლოვანება
თქვენი სული რომ ცხონდეს
უფალს შევთხოვ შენდობას
თქვენ მონაგარს მიეცეს
მეტი კეთილდღეობა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქეთი ყაზაიშვილი

ისევ ვარდებს ზარათებს, მაკო ჯათშვილი

მაისი 2012

გულისხლილობები

## მამაჩემის მეგობრებს

### როგორ შემომელიეთ, როგორ დამიცოცხავდით...

როგორ შეხაროდით სიცოცხლეს, რამდენად ერთგულები იყავით და ვაჟკაცურები, რამხელა სამეგობრო წრე გქონდათ, რა სილაღე დაგყვებოდათ. როგორ გვაჩვევდით ერთად ყოფნის სიძლიერეს. როგორ შრომობდით, ერთობოდით და გვასწავლიდით ცხოვრებას.

ნელ-ნელა მიიფერფლა ეს ყოველივე. სამარადისო სასუფეველში გადაინაცვლეთ. როგორ ძლებთ ურთმანეთოდ, რით განუგეშოთ?!

როგორ შემომაკლდით. როგორ მინდა ბავშვობაში დაბრუნება. რა კარგი იყო მაშინ და უთქვენოდ რა ძნელია ახლა.

მაკო



ქეთი ყაზაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ვარიგებ ბარათებს, მაკო ჯაიშვილი

მაისი 2012

მაიკოს,

## ყოველ ცისმარე დილას

მზის ამოსვლამდე ეშურები ტბისკენ. ჰაერი გამჭვირვალეა, სიმხნევე გემატება. ერთი საოცარი ფენომენიცაა: ზაფხულის ხვატი, ომის პანიკა, გაურკვევლობის შიში და უშინაარსო დღეების სიმძიმე ტბის სიმშვიდემ, მთის ნიავმა და "ლაი-ლაი თერაპიამ" გადაგატანინა. მადლიანი ადგილია ეს დალოცვილი.
ამიტომაც მოიჩქარი ყოველ ცისმარე დღეს. ყველაფერი წრეზე ტრიალებს – დილა მშვიდობისა, სპორტული სიარული, პოლიტიკაზე საუბარი, ყავით მასპინძლობა, მთის დალაშქვრა. ბავშვივით შეხარი ამ ორომტრიალს. სიყვარულის მუხტი ვულკანის ლავასავით თუხთუხებს. სრულებით არ გეშინია, ერთ მშვენიერ დღეს რომ ამოხეთქოს. პირიქით, სულმოუთქმელად ელი, მისი ამონაფრქვევი როდის გაუთბობს გულს დედამიწას.
სიყვარულს დიდი ძალა აქვს. ამ გრძნობის ეშხი არ მოგაკლოს ღმერთმა.

მაკო



ქეთი ყაზაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ვართველთ წარმართებს, მაკო ჯაოშვილი
მაისი 2012

ნინოს,

## სულის სიმხნევისთვის მივენდოთ უფალს

ასე შეშინებული არც არასდროს მინახიხარ, დედულ. ომის მოულოდნელობამ და გაურკვევლობამ ყველა დაზაფრა. მშობლიური სოფლის დაბომბვის შედეგად ნათესავები შეიკედლე და მხნეობა არ დაგიკარგავს. მაგრამ "თავს უშველეთო" რომ გამოგვიცხადეს, ნერვებმა გიმტყუნა. სად გავიქცეთ-ო?! აფორიაქდი.

კრუხი და წიწილებივით, მეც ერთი სული მქონდა ბავშვები გვერდით მყოლოდა. სხვას აღარაფერს ვდარდობდი. რწმენაში გაძლიერება გვჭირდებოდა. ნამდვილად ლოცვამ გვიხსნა. უფლის ნებით სიმშვიდე შევინარჩუნეთ.

შენ გაიხარე, დედასავით რომ გვანებივრებ და თავს გვევლები. მაშინაც ყველას გამო ღელავდი. გვეშველება, ვიდრე ერთმანეთის სანუგეშო ძალა შეგვწევს. იმედიანად იყავი. უფალზე ვართ მინდობილი.

მაკო



ქეთი ყაზაიშვილი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ისევ ვატარებ ზამთრებს, მაკო ჯაოშვილი

მაისი 2012

ლიკას

## ვიდრე ერთმანეთი გვეგულება...

დღე დღეს მისდევს, თვეები – წლებად გადაიზარდა. წლებმა გამოგვაწრთო და შეგვადუღაბა. წლებით ნაცადია ეს მეგობრობა და იმიტომ მენუგეშები. ცხოვრებამ რომ არ გამოგვცვალა, მაგით გაფასებ. ბავშვობიდან შენი ერთგულება რომ მომყვება, ეგ მახარებს. ამ ხნის მანძილზე ერთხელაც რომ არაფერი შეგშლია, ესაა შენი სიძლიერე. ჩემი გაფიქრებაც რომ გესმის, ეს მაოცებს. ჭკუას დინჯად მარიგებ და მანუგეშებ, რა-და მომერევა?!

ყველაფერში რომ მიგებ, განა ადვილია. განა შენ არ გაქვს საფიქრალ-სადარდებელი?! მაგრამ არასდროს წუწუნებ. შენც იცი, რომ უთქმელად ვხვდები, როდის გჭირდება თანადგომა. შენც გეიმედები და ამაყობ ჩემით.

ჰოდა, ვიდრე ერთმანეთი გვეგულება, ვერაფერი დაგვჯაბნის.

მაკო



ქეთი ყაზარიშვილი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ისევ დარიგებს წარართებს, მაკო ჯაოშვილი

მარტი 2012

ქეთინოს

გულისხმიერებები

# ეძიეთ სიხარული საკუთარ თავში

ქეთო ბებო დაირქვი და ბებიასავით დაბრძენებული ჭკუას მარიგებ,

1. წინასწარ ნუ ჯავრობ, მერეც მოასწრებ, თუ მართლაც სანერვიულოა.
2. პრობლემები "თაროებზე" ჩამოალაგე თანდათანობით მოსაგვარებლად.
3. სანამრაიმეს მოიმოქედებ, სულ ცოტა ათამდე დაითვალე."
4. გააკეთე, რაც გულმა გიკარნახოს, მაგრამ გონივრულად მოიქეცი.
5. მარტო ჩემს დარიგებას ნუ მიენდობი, არც ეგეთი ბრძენი ვარ.

რა ვიცი, ჭკვიანურად კი მიგყავს ცხოვრება. რაც დაგიჯერე, ყოველთვის მოვიგე. გინდ ქეთო ბებო იყავი და გინდ ქეთევან გრძნეული.

ხო მართლა, შენი თვალით დანახული "ჩემი სიბერე" აჭრილი თმებით, ვარდისფერი შარვლითა და მხარზე ფოტოაპარატით უკვე შეუდგა მოგზაურობას. დავრწმუნდი, სიხარული საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ. ბედნიერება ჩვენშია!

მაკო



# ქეთი ყაზარიშვილი

ისევ ვაგროვებ ბარათებს, მაკო ჯაოშვილი

მაისი 2012

ლოლოას,

გულისხმიერებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცნაურია, მაგრამ ვიპოვნი მაინც...

შენმა ქოთქოთა მზრუნველობამ ბავშვობის დროინდელი მეგობრები "გიკი" და "მიკურა" გამახსენა. სულ ვიშვიშებ ნუთუ ერთერთი მაინც რატომ არ გამოჩნდა შენს ცხოვრებაშიო.

საკვირველია, თავის დროზე ეს უცნაურობა რამ მომაფიქრებინა ან შენ რატომ აიჩემე მათი გა-რეალურება.

ეცყობა სხვაგან ეძებო, ამცკიცებ და ჩემზე მეცად შენ გჯერა, თუ მოვინდომებ, აუცილებლად ვიპოვნი. ახლა რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოს, მეც მჯერა, რომ ერთერთი უეჭველი მომნახავს.

მაკო



ქეთი ყაზაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ვარდების ბარათებს, მაკო ჯაოშვილი

მაისი 2012

*კახას,*

*გულთასხლდილთმიბები*

## "მაისი ყველგან მაისი არის, მაგრამ ბათუმში..."

მაისის ერთი საოცარი საღამო მაგონდება: ბათუმის მატარებელზე მეგობრები გავაცილეთ და შენი ძმაკაცის გულისთვის უკან დადევნება გადავწყვიტეთ. მისთვის ბათუმური მაისი ყველაზე სანუკვარი იყო... დედაჩვენის შფოთნარევი პროტესტი: "შუაღამისას რა გებათუმებათ?!" მამაჩვენის პასუხმა გადაწონა – "ემაისებათ და წავიდნენო."

მანქანაში ჩასხდომისთანავე, კიდევ ერთხელ ვირწმუნე, შეუძლებელი არაფერია. გული გამეტებით მიცემდა – მართლაც შოკის მომგვრელი იყო დილა უთენია ბათუმის ბაქანზე დახვედრა.

სხვაგვარად ჩამრჩა გონებაში მაშინდელი მაისი. ამდენი ხნის შემდეგაც, განსაკუთრებით ბათუმში ყოფნისას, მოულოდნელი სიხარულის მომლოდინე ვარ.

*მაკო*



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქეთი ყაზარიშვილი

ისევ დარეჯენ წარართების, მაკო ჯარიშვილი
მაისი 2012

ჩემი თათა-ანის და ლოალინის მულასხლილობები

## იყავით ოპტიმისტები

ნუ შეუშინდებით ცხოვრებას, ნუ აყვებით ემოციებს, ნუ დაკარგავთ იმედს, ნუ იჯავრებთ იმაზე, რაც უკვე მოხდა. ნურც ვინმეს დაადანაშაულებთ და ნურც თვითგვემას მიეცემით. ნუ გაგიტაცებთ ოცნება, ნუ იქნებით მსხვერპლის როლში, ნუ მიენდობით ბრმად, ნუ ილაპარაკებთ ზედმეტს. არ იამპარტავნოთ მდგომარეობით, არ ინუწუნოთ დაღლილობის გამო.

ნუ შეერკინებით სულმდაბლებს. ნუ გააკეთებთ მცდარ არჩევანს, ნუ შეეჭიდებით ბევრ საქმეს, ნურც ბრძენად მიიჩნევთ თავს, ნურც გაისულელებთ. ნუ გამოილევთ ენერგიას, არ მოდუნდეთ დიდი ხნით, ნუ დაემონებით წარსულს, ნურასდროს დაყრით ფარხმალს. ნუ აირიდებთ პასუხისმგებლობას.

არ დაეჩაგვრინოთ ვინმეს, არც ვინმე გააფეტიშოთ. დრო არ დახარჯოთ ფუჭად, ნუ დახუჭავთ თვალს რეალობაზე. იცხოვრეთ დღევანდელი დღით და იყავით, რაც ხართ. შეინარჩუნეთ ოპტიმიზმი!

მაკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქეთი ყაზარაშვილი

[illegible]

მაისი 2012

# მოგონებები წინანდლის ბაღიდან

ოდესღაც ამ ბაღში ბანოვანთ კრებული
მგოსნების სალონურ შეხვედრებს სტუმრობდა.
თავახდილი როიალს სიმებად შემორჩა
გარდასული დრო-ჟამის ლექსი თუ ხუმრობა.

კედლებზე შთენილმა წარსულის დიდებამ
გადაშლილი წიგნებად იპოვნა საუნჯე.
ასწლოვან მუხათა ფოთლების შრიალში
გრძნობები მოზღვავდა, სიტყვები დამუნჯდნენ.

სასმისში ლიცლიცა სურნელი ღვინისა
უძველეს ამბების მოსმენად ჩაფიქრდა.
გარინდულ ტბის პირას ხეების აჩრდილი
რიყრაყზე ქედს უხრის მზის სხივთა ათინათს

მაკა



# ქეთი ყაზაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ვარდებზე წარათებს, მაკო ჯაოშვილი

მაისი 2012

სერიიდან: "[illegible]"

## ლოპოქას ტბის პირას

გამიცისკროვნდა სამყარო
ვიგრძენი სულის ზეობა
დათოვლილი ტბის ანარეკლზე
გული ვერცხლისფრად მზეობდა
ზუხართან სიმყუდროვეში
მშფოთვარე ფიქრმაც ჩათვლიმა,
და გლინტვეინის წრუპვისას
სითბოს ვსუნთქავდი მალიმალ

მთებზე შეფენილ კელიას
ვთხოვე, რომ ძალა მომეც-თქო
იანვრის ყინვაგამოვლილს
მარტი ალმურად მომედო.
ვარსკვლავმოფენილ ცის კიდეს
მინდა, რომ ხელი შევავლო
იასამნისფერ აპრილში
ლოპოქას კარი შევაღო

მაკო



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქეთი ყაზაიშვილი

ისევ ვარღვევ ბარათებს, მაკო ჯაოშვილი

მაისი 2012

სერიიდან - "შენ რა შეგიძლია"

# იმოქმედე "აქ და ახლა"

გულო ჩადექ საგულესა
თვალი დამრჩა ასახელი
თმაჭაღარას კიდევ შემრჩა
სიბრძნის კბილი მოსაცვლელი

გრძნობა ისევ დაემსგავსა
ლავამასხმულ ყნაგირსა
მზერა ისე ამარიდა,
რომ პასუხიც არ მაღირსა.

გარინდებულ სიჩუმეში
გული ფეთქავს მგრძნობიარე
ეკლებისგან დასუსხული
მოვიშუშებ ნაიარევს

გულმა გული თუ ვერ იცნო
ეს ცხოვრება არ ღირს ჩირად
დათოვლილ გზას მივუყვები
და მაისში მოვალ წვიმად

სიყვარულზე რაც რამ
თქმულა
გულისგულში ჰპოვებს ბუდეს
ხელში კალამს მოვიმარჯვებ
ჩემს სათქმელსაც დავაპურებ.

სად ვყოფილვარ, რა მინახავს
გულმა ჩუმად მიკარნახა
ნუღარ მიელ-მოელები
იმოქმედე "აქ და ახლა".

მაკო

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქეთი ყაზარიშვილი

ისევ ვარდებზე ბარათებს, მაკო ჯაოშვილი

მაისი 2012

სერიიდან – „ქართველი"

## „ამ მთაზე ამოსვლა როგორ-ღა გაბედა, არა ვარ ასეთი გოგონას მნახველი"

– მთაში გაგიტაცებ. სუფთა ჰაერივით გჭირდება სიმაღლეზე ასვლა. როგორც მთასავით შენობები პატარავდება ზემოდან გადმოხედვისას, შენი საზრუნავიც ასე იქნება. ხელში აგიყვან, რომ არ დამეღალო.

– ჩაგიკრავ გულში და აღარ გაგიშვებ, რაკი გიპოვნე. თუმცა არ გეძებდი, უბრალოდ გიცდიდი. გული გულს ცნობს.

– მაგ გულში გენაცვალე. მეტი რა ვართ ერთმანეთისთვის, მცირეოდენი სიხარული თუ ვერ გავიმეტეთ. შენი გულისთვის მთებს შევძრავ. ამდენი ხნის ურჩეობას შეგიმსუბუქებ.

– არ ვარ ჩვეული ასეთ ლოლიავს. შენ წინ იარე, მე უკან გამოგყვები. ტვირთაკიდებულს არასდროს დამიჩივლია და ანი რაღა მიჭირს.

– მაპატიე დაგვიანება. მადლობა, უფალს, რომ შეგვახვედრა.

– ამის მოსმენა მთაში ამოსვლად მართლაც ღირდა. რა მაგარია მთების ექო: მიყვარხარ, მიიყვააარხააარ, მიიიყვააარხაააააარ!!!

მაკო



ქეთი ყაზაიშვილი

ქართული ბიბლიოთეკა

ისევ ვარიგებ ბარათებს, მაკო ჯაოშვილი

მაისი 2012

სერიიდან: "ჰარმონია"

# მზიანი მთვარე

მთვარე გაბადრულა ცაზე
ღრუბელს ანევია კალთა
მზისგან მოიტაცა სხივი
ოდნავ შეხსნილი აქვს ბალთა

მთვარით განათებულ გზაზე
ოქროს ფანტელები ფრინავს
თითქოს გაზაფხული დადგა
მაინც სუსხია და ყინავს

გასხივოსნებული მინა
სითბოს იხუტებდა გულში
ღრუბელს ნაფლეთებად
ქცეულს
სახე შერჩენოდა კუშტი

ზეცა სავსე იყო მთვარით
ღიმილს ამშვენებდა ფარჩა,
თვალი გაუსწორა მზისგულს,
მინა დაბზარული დარჩა.

კაბაშემოძარცვულ ლოდინს
გულგატეხილობით დაღლილს.
მთვარე აყოლებდა მზერას
ოდნავ გამომცდელი თვალით.

მზის სხივს გადახვია ხელი,
ვარსკვლავს დაუჩოქა მუხლზე,
ბადრი მთვარესავით ბიჭი
გოგოს მოეფონა გულზე

მაკო



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქეთი ყაზარიშვილი

[illegible]

მარტი 2012

სიმღერიდან – „შენ ხარ შეყვარებული"

# ყური მიაპყარ გულს

გულდაგულ მოგისმენ
ფეხდაფეხ მოგყვები
ამ წყენას მოვითმენ
უშენოდ მოვკვდები
ხელისგულს დაგითმობ
ზედ გავშლი კარავსა
თვალებში ვკითხულობ
ყურმოკრულ ამბავსა
შენამდე მანძილი
არც ისე შორია
საწყენად ნათქვამი

ეგენა ჭორია
მდუმარე შეხედვით
უთქმელად დავრჩები
როგორმე მიყუჩდეს
აჭრილი განცდები
გულისყურს მოგაპყრობ
არ ვიმჩნევ დაღლასა
ჩემგან რომც წახვიდე
გაგატან საგზალსა

მაკო



# ქეთი ყაზაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ვარდებზ ბარათებს, მაკო ჯაოშვილი

მაისი 2012

# წვეთის ძალა

ერთი პაწარა წვეთია და გაგიკვირდება, რამხელა ძალა აქვს. ოღონდ თავად არც იცის. ერთ ჩვეულებრივ წვეთად მიაჩნია თავი. ფორმა-ზომით მართლაც ასეა, მაგრამ რა ზომისაცაა, იმხელა გული აქვს. ამაშია ალბათ მისი გულადობის საზომი.

ეს ერთი წვეთია პირთამდე სავსე ფიალიდან რომ გადმოდის. ეს ერთი წვეთია ჭუჭრუტანიდან რომ აღწევს. ეს ერთი წვეთია მოსვენებას რომ გაკარგვინებს. ის წვეთია, ქვას რომ ხვრეტს სულ რაღაც ერთი წვეთია, მოთმინებას რომ გაკარგვინებს.

წვეთი უძახე შენ და რამდენი რამ შეძლებია. იპოვნე ეგ წვეთი – შეძელი შეუძლებელი.

მაკო



ელექტრონული
ბიბლიოთეკა

# ქეთი ყაზაიშვილი

ისევ ვარდებზე წარართებს, მაკო ჯაოშვილი
მაისი 2012

სერიიდან – "შენ ეს შეგიძლია"

# "ყოველ წამს შეისუნთქე სიცოცხლე"

უცნაური სიზმრიდან გამოღვიძებულს ინტუიციამ უკარნახა სასწრაფოდ რამე უნდა ილოცოს..

...მოსაცდელში ექიმის "განაჩენს" ელოდება. "ოღონდ გადარჩეს, გადარჩეს, ღმერთო, აცოცხლე, ღმერთო, აცოცხლე" – ლოცვასავით იმეორებს... გულს ბაგა-ბუგი გააქვს. "იყუჩე გულო, ყველაფერი კარგად იქნება" – სიმშვიდე დაეუფლა და გონებაში სიტყვით გაცოცხლებული კადრი ამოტივტივდა: ფართოდ დაღებული პირი მინაწერით: "ყოველ წამს შეისუნთქე სიცოცხლე".

ღრმად ჩაისუნთქა, წამოიმართა, დერეფნის ბოლოში სახეგაბადრული ექიმს მოკრა თვალი.

–"გაცილებით უკეთესობაა. მთავარია, რწმენა გადარჩენის. თქვენ ვინ ხართ პაციენტის?

–"არავინ"....

...კიბეები სულმოუთქმელად აირბინა, კარი სანდომიანი გარეგნობის ქალმა გაუღო.

– რატომ წუხდებოდით? ჩემი ქმარი წამოიღებდა ანალიზის პასუხს. დიაგნოზს მიმალავს და ეს გაურკვევლობა მკლავს. რამდენ ხანს გავძლებ...

– დიდხანს, რადგან ვლოცულობ თქვენი კარგად ყოფნისთვის!

სიფრიფანა ქალბატონს იმედის სხივი ჩაუდგა თვალებში და სიცოცხლის ძალა შეემატა.

სხვისთვის სიხარულის მინიჭება უდიდესი მადლია.

მაკა



ქართული ბიბლიოთეკა

ქეთი ყაზარიშვილი

ისევ ვარდებს წარათებს, მაკო ჯაოშვილი

მარტი 2012



სერიიდან – "შენ ეს შეგიძლია"

## გუშინ, დღეს, ხვალ...

დღეს რომ მზე ამოვა, ღამით ვარსკვლავებმა მითხრეს. ფიქრის ღრუბელს მზიანი დარი ჩრდილავს. თუნდაც წამოწვიმოს, მალე გადაიღებს.

გუშინ წვიმდა, დღეს მზეა, ხვალ გათოვდება მგონი.
დღეს სუსხია, ხვალ მოყინავს, გუშინ მზე კაშკაშებდა.
ხვალ დათბება, გუშინ მზემ დაადნო თოვლი, დღეს ქარი ქრის ცოტა.

დღეს ხვალინდელი იმედი ანათებს,
დღეს გუშინდელი სიყვარული ათბობს.
დღეს დღევანდელობის რწმენა ავსებს.

გუშინ რა იყო, ხვალ რა იქნება, ნუ გადარდებს.
დღეს რაცაა, ის მიიღე და ესიყვარულე!

მაკო



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქეთი ყაბაიშვილი

ისევ ვარიგებ ბარათებს, მაკო ჯაოშვილი
მაისი 2012

სერიიდან - "შენ ეს შეგიძლია"

## დრო

ქვეყნად დრო მეფობს და ამიტომაც
შენ ნუ გაუსწრებ დროს
სიდინჯე გმართებს
შეუყოვნდი ცოტა
და ნუ აყვები ჭორს
ახელილი თვალზე
ხელს ნუ იფარებ
ნუ შეერევი ბრბოს.
ყური დაუგდე გულისთქმის კარნახს
ზურგს ნუ შეაქცევ გონს,
დანამული თვალზე ცრემლი კიაფობს
კვლავ სიყვარული თოვს.
გალაღდი ისევ,
იარე მედგრად და
არ ჩამორჩე დროს.

მაკო



ქეთი ყაზაიშვილი

ქართული ბიბლიოთეკა

ისევ ვარიეეზ ზარათეზს, მაკო ჯაოშვილი

მაისი 2012